


ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ ანაკლიაში

აბსტრაქტი: ანაკლია მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ანაკლია უძველესი დროიდან ჩანს დასახლებული. ევროპელი მოგზაურებისა და მწერლების ცნობების მიხედვით, ანაკლია ძველ დროში არსებულ ჰერაკლეს წარმოადგენდა. უახლესმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა ანაკლიაში ადრე ანტიკური ხანის ადგილობრივი, კოლხური ძლიერი ნამოსახლარის არსებობა, რომელიც, მართალია, განიცდის ელინიზმის გავლენას, მაგრამ არა იმ დონეზე, რომ ადგილობრივ კულტურაზე არსებითი გავლენა მოეხდინა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ ბერძნული ქალაქური დასახლების (ჰერაკლეა) მნიშვნელოვანი კვალი ჯერ გამოვლენილი არაა. პირიქით, აქ აღმოჩენილი დასახლება - თავდაცვითი თხრილით - გარშემორტყმულია ხელოვნური ბორცვით, საცხოვრებელი მოედნით, ტიპოლოგიურად იმეორებს წმინდა კოლხური დასახლების მოდელს. ნაწარმიც უპირატესად კოლხურია და იმპორტული კერამიკა - მცირერიცხოვანი. ჩვენი ვარაუდით, აქ დროებითი სავაჭრო ფაქტორია არსებობდა.

საკვანძო სიტყვები: ჰერაკლეა, ნეაპოლისი, დიხაგუძუბა.

ანაკლია მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, შავი ზღვის სანაპიროზე, ზღვის დონიდან 3 მ. სიმაღლეზე, ადმინისტრაციული ცენტრიდან (ზუგდიდი) დაშორებულია 30 კმ.-ით და წარმოადგენს კლიმატურ კურორტს. მოხერხებული ეკონომიკურ - გეოგრაფიული ადგილმდებარეობა: ზღვასთან სიახლოვე, ხელსაყრელი სამეურნეო-სამიწათმოქმედო და სახელოსნო პირობები, სხვადასხვა ეპოქაში განსაზღვრავდა აქ ადამიანების ინტენსიური განსახლებისთვის მიმზიდველ გარემოს.



სურ. 1 ანაკლიისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური რუკა.

ანაკლიის შესახებ, ჩვენთვის დღემდე ცნობილი პირველი წერილობითი წყაროა 1615 წლით დათარიღებული ლუი გრანჟეს წერილი, სადაც ის ანაკლიას „ჰერაკლეს“ სახელით მოიხსენიებს (თამარაშვილი 1902: 204 -205). პროფ. ნ. ლომოურის ვარაუდით, ქალაქი ნეაპოლისი, რომელსაც ასახელებს პტოლემეაიოსი (ახ. წ. II ს.) მდებარეობდა ენგურის შესართავთან, ამჟამინდელი ანაკლიის ტერიტორიაზე. შუა საუკუნეების ფრანგ და იტალიელ მისიონერთა თუ მოგვიანო პერიოდის ევროპელ მოგზაურთა აზრით (ჟან შარდენი 1975 : 255), (გიულდენშტეტლი 1962 : 325), (რაინეგსი 2002: 108), (გამბა 1987: 94) და სხვ.), ანაკლია ძველ დროში არსებულ ჰერაკლეს წარმოადგენდა (ჰერაკლეა - სტრაბონის აღწერით იყო ზღვისპირა ქალაქი პონტოს სამეფოში) (ტულუმი 1991: 5-6). ქართულ წერილობით წყაროებში ანაკლია პირველად XVII ს. დასაწყისში არის მოხსენიებული: ბიჭვინთისადმი შეწირულობის წიგნში,

მალაქია კათალიკოსი (1616 -1639 წ.წ.) ჩამოთვლის ოდიშის რამდენიმე სოფელს, მათ შორის „ანაკრია-ს“.

ანაკლიის მიმართ არქეოლოგიური ინტერესი ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს გაჩნდა, ამას განაპირობებდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხშირი შემთხვევითი აღმოჩენები. ცნობილია, რომ სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი 1848 წელს ზუგდიდში ჩამოსულ სტუმრებს სიამაყით ათვალეიერებინებდა საკუთარ სასახლის კაბინეტ - მუზეუმში გამოფენილ ნუმიზმატიკურ და სიძველეთა კოლექციას, რომელიც სოფლებში, მათ შორის ანაკლიაში, აღმოჩენილი ნივთებით იყო წარმოდგენილი (გზამკვლევი 2010: 45). XX საუკუნის 30-იანი წლებიდან კი საფუძველი დაედო, პროფესიონალურ დონეზე ანაკლიის არქეოლოგიური მემკვიდრეობის კვლევა - ძიებას.


ანაკლია I დიხაგუძუბა - მდებარეობს სოფ. ანაკლიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, თიკორის მხარეს. ძველი გაითხარა XX ს.-ის 30-იან წლებში, ზუგდიდის მუზეუმის დირექტორის აკაკი ჭანტურიას მიერ. გამთხრელის მონაცემების საფუძველზე მასალა გამოაქვეყნა ცნობილმა არქეოლოგმა ბორის კუფტინმა. გამოვლინდა 4 კულტურული ფენა. I ფენა - დაფიქსირდა ხელით ნაძერწი კერამიკა და მეტალურგიული წარმოების ნაშთები (ბრინჯაოს ჩამოსასხმელი ყალიბები, წიდა). ეს ფენა თარიღდება ადრე ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიით (ძვ. წ. III- II ათასწლეულთა მიჯნა). მეორე-მესამე ფენები შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება (ძვ. წ. XVIII -XV ს.ს). ამ ფენებში აღმოჩნდა ხის ძეღურ ნაგებობათა ნაშთები, მდიდრულად ორნამენტირებული თიხის ჭურჭელი, მახასა და ფეტვის მარცვალი. მეოთხე ფენაში (გვიან ბრინჯაოს ხანა) აღმოჩენილი კერამიკა ჩარხზეა დამზადებული და განსხვავდება ქვედა ფენის კერამიკისაგან (Куфтин 1950 : 161-259).

ანაკლია II დიხაგუძუბა - მდებარეობს სოფელ ანაკლიის უბან ჭითაწყარში. ზუგდიდი – ანაკლიის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს. ძველის გათხრები მიმდინარეობდა 1971–1978 წ.წ., ექსპედიციას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი. აღმოჩენილ იქნა ხის ძეღური (ჯარგვალური) ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულით თარიღდებიან. ასევე აქ დაფიქსირდა ღომის დანახშირებული მარცვლები, ხელით ნაძერწი და ქსოვილიანი კერამიკა. ბრინჯაოს თიხის ჩამოსასხმელი ყალიბები. ანაკლია მეორე დიხაგუძუბაზე ასევე დაფიქსირდა ადრეანტიკური ხანის ძვ. წ. VI- V

საუკუნეების პერიოდისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმის ნაშთები (რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი 2005 : 24); (ხოშტარია 1944: 208 -209);

გარდა კომპლექსური ძეგლებისა, სოფ. ანაკლიაში ფიქსირდება ცალკეული, შემთხვევითი აღმოჩენები, კერძოდ, ბრინჯაოს ზოდები - 1952 წელს აღმოჩნდა სოფ. ანაკლიაში, ანაკლია II დიხაგუმიდან 150–200 მ. დაშორებით, კერძო მოსახლის სიმინდის ყანაში (რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი 2005 : 24); (ხოშტარია 1944: 208 -209). კოლხური ბრინჯაოს ცული - 1952 წელს აღმოჩნდა სოფ. ანაკლიაში, ანაკლია მეორე დიხაგუმიდან 150–200 მ. დაშორებით სიმინდის ყანაში (ხოშტარია 1944: 31). ბრინჯაოს თოხი - 1952 წელს აღმოჩნდა სოფ. ანაკლიაში, ანაკლია II დიხაგუმიდან 150–200 მ. დაშორებით, სიმინდის ყანაში (რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი 2005 : 24); (ხოშტარია 1944: 31).

ამჟამად, წინამდებარე სტატიის შევსებით ახალ არქეოლოგიურ ძეგლს, რომელიც „შეხუზი მაქაგარიას ნა(ყ)ვანუს“ სახელით არის ცნობილი და მის მიმდებარედ ასევე აღმართულია ხელოვნურ ნამოსახლარი ბორცვი - ე. წ. დიხაგუპუბა (ზღვის დონიდან 3 მ. შემადღება), რომელსაც მოსახლეობა „ორსანტიაშ ნაკარუს“ სახელით მოიხსენიებს ¹.



¹ სოფ. ორსანტიიდან მესაქონლეებს აქ კარე, ანუ დროებითი სადგომი ქოხი ჰქონიათ აშენებული და სახელიც ამიტომ ეწოდა ამ ადგილს.

დიხაგუძუბა და ორსანტიში ნაკარუ.


აღნიშნული კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს, შავი ზღვიდან აღმოსავლეთით 1,2 კმ.-ის დაშორებით. ამ ადგილას, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ პერიოდულად ზედაპირზე შეინიშნებოდა და იკრიფებოდა წითლად გამომწვარი ბათქაშისა და კერამიკის სხვადასხვა ფრაგმენტები.

ამ ტერიტორიამ განსაკუთრებული ყურადღება იმ თვალსაზრისითაც მიიქცია, ლანდშაფტური არქეოლოგიის თვალსაზრისით გამორჩეულია, ვიზუალური ხედით შეინიშნებოდა შემალღებული ბორცვი და მის გარშემო არსებული ვრცელი გავაკებული ტერიტორია. ეს კომპლექსი აერთიანებდა კოლხური დასახლების ორ მთავარ კომპონენტს, ხელოვნურად შექმნილ ბორცვს „დიხაგუძუბას“² და მის გარშემო ვაკეზე გამართულ ვრცელ ნამოსახლარს. ძეგლებზე საველე არქეოლოგიური კვლევა - ძიება ჩატარდა 2016 წელს (ექსპედიციის ხელმძღვანელი რ. პაპუაშვილი).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოიკვეთა ძლიერი კულტურული ფენები. შუხუზი მქაცარიას დიხაგუძუბაზე დაფიქსირდა ძელურ - ბათქაშიანი შენობის ნანგრევები და სხვადასხვა არტეფაქტები, მათ შორის იმპორტული და ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი. მაგ. ამფორის პირგვერდი და ძირგვერდი, კოლხური სასმისი, ვაზისებური ჭურჭელი, რომლებიც ფენას ზოგადად ძვ. წ. VI-IV საუკუნეებით ათარიღებს (პაპუაშვილი 2016 : 5).

² დიხაგუძუბა - ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვი, რომელიც გამართულია მიწაზვინულის ერთმანეთზე დაშრევების შედეგად. მისი ზოგადი ქრონოლოგიური ასაკი მოიცავს ადრე ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ახ. წ. IV საუკუნეს. დიხაგუძუბებს გარშემო უვლიდა ხელოვნურად გაჭრილი თავდაცვითი და სამეურნეო დანიშნულების არხები, რომლის საშუალებით უკავშირდებოდნენ გარესამყაროს. დიხაგუძუბებს კომპლექსებს შორის მუდმივად გამოსარჩევა ერთი დიდი ბორცვი, რომელიც პირობითად „დედა დიხაგუძუბად“ იწოდება, ვინაიდან სწორედ აქედან ხდებოდა შედარებით მომცრო, სხვა დიხაგუძუბების გამართვა.

თრსანტიას დიზაგუძუბუბ



სურ. 3 სტრბბბბბბბბ

ხელოვნური ნამოსახლარი ბბრბბბ სტრბბბბბბბ სურბბბ, რბბბბბბ ბბრბბბბ ბბბბბბბ ბბბბბბბ ბბბბბბბ, გვბბბბბბბბ, რბბბ ბბ ბბბბბ, უბბბბბ ბბბბ

რამდენიმე მცირე ზომის ბორცვი-ნამოსახლარი უნდა არსებულიყო. ისინი სპეციალურად გაკეთებულ მკვრივ ყვითელ თიხატკეპნილზე მოზეინულ ფენაზე იყო გამართული. ეს ნაგებობები, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო ერთიანად განადგურდა, გადაიწვა და დარჩა ბათქაშების გროვა. თუ, რა იყო ამის მიზეზი (თავდასხმა, სტიქია, უბედური შემთხვევა...) დაზუსტებით რამის თქმა ამ ეტაპზე შეუძლებელია. როგორც დასტურდება, სულ მალე (ამასაც აქ მოპოვებული არტეფაქტები გვაფიქრებინებს) მოსახლეობამ გადაასწორა ეს მცირე ზომის ბორცვები, შეავსო ახალი მონაზვინით და შექმნა დიდი მოედანი, რომელზეც გამართა ახალი ნაგებობა. ასე წარმოიშვა ზედა და ქვედა კულტურული ფენები (ხომტარია 1944; 5).


ამრიგად, ხელოვნურ ნამოსახლარ ბორცვზე, დიხაგუმუბაზე ქრონოლოგიურად ერთი, მაგრამ სტრატეგრაფიულად ორი, ერთმანეთისგან გამოყოფილი კულტურული ფენა დაფიქსირდა. მათ შორის 0,7 მ. სისქის სტერილური ფენაა. მოპოვებული არტეფაქტების მიხედვით: ყურმილიანი ხელადა, კოლხური სასმისები, ბერძნული ამფორები, ორლულიანი ყური და ის ორიგინალური ჭურჭელი, რომელიც კოლხეთშია დამზადებული, კოლხური თიხით და ბერძნულის მიბადვით, საფუძველს გვაძლევს აღნიშნული კულტურული ფენები ზოგადად ძვ. წ. VI-IV საუკუნეებით დათარიღდეს (პაპუაშვილი 2016: 5).

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ახლად ადრეანტიკური, კლასიკური ხანის (ძველი წელთაღრიცხვის VI –IV ს.ს.) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი 4 ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული. ეს დასახლება ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახული არქეოლოგიური ობიექტია ენგურ-რიონის ორმდინარეთში; გამოკვეთილი „ციტადელით“, გარშემო თხრილით და მის მიღმა ვაკეზე გამართული საცხოვრებელი სახლებით. წარმოდგენილია 2500 წლის წინანდელი ერთი კოლხური სოფლის, თუ ქალაქური ტიპის დასახლება, რომელიც ჩანს, რომ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბერძნულ სამყაროსთან.

აღსანიშნავია, რომ ადრე ანტიკური პერიოდი გამოირჩევა შავი ზღვის სანაპიროების აქტიური კოლონიზაციით. კაცობრიობის მიგრაციულ პროცესებს შორის გამორჩეულია დიდი ბერძნული კოლონიზაცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა ხალხთა შორის სავაჭრო-ეკონომიკურ, ფულად-სასაქონლო თუ კულტურულ ურთიერთობებს. ინტენსიურად მიმდინარეობს მისი ათვისება და აქ ბერძნული ახალშენების დაარსება. ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის რეგულარული ურთიერთობა იწყება ძვ. წ. VI ს.-

დან და დაკავშირებულია ე. წ. ბერძნულ კოლონიზაციის პროცესთან. ამ დროს ვრცელ ტერიტორიაზე - ჰიბრალტალიდან მდ. დონის შესართავამდე, ხმელთაშუა და შავი ზღვისპირეთში ჩნდება ბერძნული ქალაქი- კოლონიები, მაგრამ უდავოა, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ეს პროცესი მეტად სპეციფიკური ჩანს, ვინაიდან ბერძენ მოახალშენებს აქ დახვდათ საკმაოდ ძლიერი ჩამოყალიბებული თვითმყოფადი კულტურის მატარებელი ხალხი. სწორედ ამან განაპირობა ჩვენს მიერ ახლად მიკვლეული ნამოსახლარის ხასიათი, სადაც კარგად იკითხება ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის მასშტაბები.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ ბერძნული ქალაქური დასახლების (ჰერაკლეა) მნიშვნელოვანი კვალი ჯერ გამოვლენილი არაა. პირიქით აქ აღმოჩენილი დასახლება - თავდაცვითი თხრილით გარშემორტყმულია ხელოვნური ბორცვით, საცხოვრებელი მოედნით, ტიპოლოგიურად იმეორებს წმინდა კოლხური დასახლების მოდელს. ნაწარმიც კოლხურია და იმპორტული კერამიკა მცირერიცხოვანი. ჩვენი ვარაუდით, აქ, ძვ. წ. VI – V საუკუნეებში დროებითი სავაჭრო ფაქტორია არსებობდა.



სურ. 4 ორსანტიის დიხაგუძუბა, კერამიკა.
კერამიკა.

სურ. 5. შუხუზი მაქაცარიას დიხაგუძუბა,

ლიტერატურა:

ბერაია ლ., კალანდია გ., - *დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის გამკვლევი*, ზუგდიდი 2009.

გამბა ჟ. ფ., *მოგზაურობა ამიერკავკასიაში*, ტ. I, თბ., 1987.

გიულდენშტედტი, *მოგზაურობა საქართველოში*, ტ. I, თბ. 1962 წ. გვ. 325 (გერმანული ტექსტი თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა).

თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, ტფილისი, 1902.

Куфтин Б. А., *Материалы к археологии Колхиды*. Т. II Тб., 1950, с. 161-259.

მიქელაძე თ., *ძიებანი კოლხეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ისტორიიდან*, თბილისი 1974 .

პაპუაშვილი რ., *ანაკლიის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში*, 2016.

პაპუაშვილი რ., *პაპუაშვილი ნ., კოლხეთის ძველი ნამოსახლარები*, ერგეტა, თბ. 2005.

რაინესი ი., *მოგზაურობა საქართველოში*, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ. 2002.

ტულუმი აბ., *ანაკლიის ისტორია*, ზუგდიდი, 1991.

ხომტარია ნ., *დიხაგუძუბა, კოლხეთის ძველი მოსახლეობა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. #2, თბ. 1944.

შარდენი ჟ., *მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ. 1975.